paysera

შეტყობინება სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს “პეისერა ბანკი საქართველო“ (იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N4/2) გატყობინებთ, რომ სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება ჩატარდება 2023 წლის 15 აგვისტოს, თბილისის დროით 12:00სთ-ზე, შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N4/2;
კრება ჩატარდება აქციონერთა უშუალოდ დასწრების ფორმით.
აქციონერთა მორიგი საერთო კრების სააღრიცხვო დღეა 2023 წლის 14 ივლისი.
აქციონერთა მორიგ საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ აქციონერებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს ირიცხებიან აქციონერებად.

<u>აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგია:</u>

1. აქციონერთა მორიგ საერთო კრებაზე კენჭისყრის ფორმის განსაზღვრა

სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ აქციონერთა რაოდენობიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, აქციონერთა მორიგ საერთო კრებაზე კენჭისყრა განხორციელდეს ღია კენჭისყრის ფორმით.

2. აქციონერთა მორიგი საერთო კრების მდივნის არჩევა

სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ წესდების 7.1.7 ქვეპუნქტის თანახმად, აქციონერთა კრების მიერ არჩეულ უნდა იქნეს კრების მდივანი. სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, აქციონერთა მორიგი საერთო კრების მდივნად არჩეულ იქნეს ირაკლი ვეკუა.

3. სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ დირექტორატის მიერ 2022 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოწონება

სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭო რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას მოიწონოს სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ დირექტორატის მიერ 2022 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

4. სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2022 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოწონება

სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ აქციონერებისათვის განსახილველად წარდგენილია სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2022 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

5. სს „პეისერა ბანკი საქართველოს” 2022 წლის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებისა და შპს „ბიდიო აუდიტის“ დასკვნის დამტკიცება

სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას დაამტკიცოს სს ”პეისერა ბანკი საქართველოს” 2022 წლის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება და შპს „ბიდიო აუდიტის“ დასკვნა.

5. სს „პეისერა ბანკი საქართველოს” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ანაზღაურების საკითხის განხილვა

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის N215/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მე-19 მუხლის

მე-11 ნაწილით დადგენილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურებებს შორის სხვაობის ოდენობის დაცვის მიზნით, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას სს „პეისერა ბანკის საქართველოს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ანაზღაურების ოდენობა განსაზღვროს აღნიშნული მოთხოვნის დაცვით.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ----------/ლაშა კახიშვილი/

გენერალური დირექტორი ----------/დიმიტრი ქუმსიშვილი/